საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

ა ქ ტ ი

№ 27/00 „18" მაისი 2010 ქ. თბილისი

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი
გიორგი ჯერენაშვილი

„18 მაისი" 2010 წელი

ეგზ.N2

ობიექტი: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტი

პერიოდი: 01/01/09-01/01/10

თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. 96
ტელ: +(995 32) 438-438; ფაქსი: +(995 32) 438-136; www.control.ge

15

საქართველოს კონტროლის პალატა

www.control.ge

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური(კამერალური) აუდიტის აქტი

ობიექტი: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტი

პერიოდი: 01/01/09-01/01/10

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი

აპრილი, 2010

შინაარსი / საძიებელი

ნაწილი I. შესავალი	გვ. 2
ნაწილი II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	გვ. 3
ნაწილი III. ძირითადი ტექსტი	გვ. 4
1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:	გვ.4
1.1 წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;	გვ.4
1.2 დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით;	გვ.6
1.3 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა;	გვ.6
1.4 გრანტების (ფულადი და სასაქონლო) მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა;	გვ.6
2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება):	გვ.7
2.1 არაფინანსური აქტივების ცვლილება;	გვ.7
2.2 დებიტორ-კრედიტორების ცვლილება.	გვ.7
ნაწილი IV. აუდიტის აქტის სამართლებლივი სტატუსი, პაუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი	გვ.8
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	გვ.8
აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები. დანართი	A
გამოყენებული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები. დანართი	B

I. შესავალი

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 10 მარტის №40/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი - საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–13 კილომეტრი

აუდიტის ჯგუფი - უფროსი აუდიტორი თამაზ გურგენიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი); აუდიტორი - გიორგი მშვილდაძე.

სააუდიტო პერიოდი - 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა - 10/03/2010 – 10/04/2010 (დაწყება-დამთავრება)

შემოკლებანი:

ცსკო - საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ორგანიზაციული კოდი 06 00).

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო- ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური-სახაზინო სამსახური.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (შემდგომში–„ცესკო“) უზრუნველყოფს არჩევნების, რეფერენდუმის, პლებისციტის მომზადებასა და ჩატარებას, საქართველოს მოქალაქეთა საარჩევნო უფლების სრულ და განუხრელ განხორციელებას, აგრეთვე თავისი უფლებამოსილების ფარგლებში აკონტროლებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებას.
- თავის საქმიანობაში იგი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონებით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“,“რეფერენდუმის შესახებ“,საქართველოს სხვა კანონებით, კანონქვემდებარე აქტებითა და თავისივე რეგლამენტით.
- ცესკოს აქვს დასრულებული ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა, ბეჭედი და ტვეფრი, გაერთიანებულია ხაზინაში.

II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 ოქტომბრის №744 განკარგულების საფუძველზე ცსკოს „ახალი შენობის აუცილებელი საპროექტო და სარემონტო სამუშაოების დასაფინანსებლად" გამოეყო 345.0 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად ირკვევა, რომ დანიშნულებით გაიხარჯა 302,2 ათასი ლარი. დარჩენილი 42,8 ათასი ლარი ცსკო-ს თავმჯდომარის თანხმობით ძირითადად გახარჯულია მიმდინარე ხარჯების დასაფარავად.

ცსკო-ს 2009 წლის განმავლობაში უცხოეთიდან მიღებული საინვენსტიციო პროექტები და გრანტის სახით ორგანიზაციულ კოდ 06 04 01– ზე „სხვა ხარჯების" მუხლში გამოეყო 1700.0 ათასი ლარი, პროექტის - ,,დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება სამართლიანი საარჩევნო პროცესებისა და აქტიური სამოქალაქო მონაწილეობისათვის" ფარგლებში. ზემოხსენებული საინვენსტიციო პროექტიდან 2009 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის 2010 წლის 2 თებერვლის N 18–05–14/199/1102 წერილის თანახმად გაიხარჯა 1437.5 ათასი ლარი, ზემოთაღნიშნულ თანხაზე ცესკოს არც ვალდებულების დოკუმენტი და არც საგადახდო მოთხოვნა სახაზინო სამსახურში წარდგენილი არ აქვს. შესაბამისად თანხის გადარიცხვაზე ხარჯვის პირველად დოკუმენტებს ცსკო–ში არ მოიპოვება.

კრედიტორული დავალიანება 2966,3 ათასი ლარის ძირითადად წარმოშობილია 2003 წელს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით(რაიონული საარევნო კომისიების წევრებზე გასაცემი ხელფასის თანხები), ხოლო დებიტორული დავალიანება 16,2 ათასი ლარი შეადგენს 1995 – 2000 წლებში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში წარმოქმნილ დავალიანებას.

III. ძირითადი ტექსტი.

1.მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:

1.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

ა) დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით;

„2009 წლისათვის მხარჯავი დაწესებულებების კადრების და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 ივნისის № 139 დადგენილებით 2009 წლისათვის ცსკო-ს (ორგანიზაციული კოდი 06 00) კადრების ზღვრული მოცულობა განესაზღვრა 492 ერთეულით, ასიგნებების ზღვრული მოცულობა 8400.0 ათასი ლარით. საბიუჯეტო განაცხადი ცსკო-ს მიერ წარდგენილ იქნა 2008 წლის 15 აგვისტომდე დამტკიცებული ზღვრული მოცულობების შესაბამისად, ხოლო საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის N 252 დადგენილებით "2009 წლისათვის მხარჯავი დაწესებულებების კადრებისა და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 ივნისის N139 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, ცსკო-ს კადრების ზღვრული მოცულობა განესაზღვრა 492 ერთეულით, ასიგნებების ზღვრული მოცულობა 10550.0 ათასი ლარით.

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით (30/12/08; № 945) ადმინისტრაციას განესაზღვრა მთლიანი ასიგნება 11040.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო მომუშავეთა რიცხოვნობა 492 ერთეულით. (ასიგნებების ზრდა გამოწვეულია 2008 წლის 30 დეკემბერს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესაბამისად, არასაპარლამენტო პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებით ასიგნებების 490.0 ათასი ლარის მატებით).
2009 წლის ასიგნებების დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 11040.0 ათასი ლარი. გეგმაში ცვლილება განხორციელდა ორჯერ და შეადგინა 12 540,0 ათასი ლარი. დაზუსტებულმა გეგმამ მთავრობის სარეზერვო ფონდების ჩათვლით (395 ათასი ლარი) შეადგინა 12 935,0 ათასი ლარი.

ეკონომიური კლასიფიკაციის მიხედვით მუხლობრივმა გადანაწილებამ მიიღო შემდეგი სახე: (იხ. ცხრილი № 1)

ცხრილი № 1

(ათას ლარებში)

მუხლის დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	საკასო ხარჯი	ფაქტიური ხარჯი	სხვაობა ფაქტიურსა და საკასო
მთლიანი ასიგნება	11040.0	12935.0	12636.0	12636.0	12636.0	13383.0	747.0
მათ შორის							
შრომის ანაზღაურება	3818.0	3875.0	3875.0	3875.0	3875.0	3875.0	0.0
თანამდებობრივი სარგო			3717.0	3717.0	3717.0	3717.0	0.0
პრემია			158.0	158	158	158	0.0
საქონელი და მომსახურება	586.8	992.1	991.7	991.7	991.7	1320.6	328.9
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება			92.3	92.3	92.3	92.3	0.0
მივლინებები			80.7	80.7	80.7	80.7	0.0
ოფისის ხარჯები			481.2	481.2	481.2	522.1	40.9
წარმომადგენლობითი ხარჯები			8.7	8.7	8.7	7.5	-1.2
ტრანსპ. და ტექნიკის ექსპლუატაციის ხარჯები			151.2	151.2	151.2	158.1	6.9
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება			177.3	177.3	177.3	459.7	282.4
ძირითადი კაპიტალის მოხმარება						418.2	418.2
სოციალური უზრუნველყოფა	4.0	20.8	20.7	20.7	20.7	20.7	0.0
დამქირავებლის მიერ გაწეული სოც. უზრუნველყოფა			20.7	20.7	20.7	20.7	0.0
სხვა ხარჯები	6631.0	8038.5	7748.7	7748.2	7748.2	7748.2	0.0
მიმდინარე			6331.2	6310.7	6310.7	6310.7	0.0
კაპიტალური			1437.5	1437.5	1437.5	1437.5	0.0
არაფინანსური აქტივები		1.1	1.1	1.1	1.1	-	-
მანქანა დანადგარები			1.1	1.1	1.1	-	-

„საქონელი და მომსახურების მუხლში“ ფაქტიურ და საკასო ხარჯებს შორის სხვაობამ 328,9 ათასი ლარი შეადგინა, კერძოდ:

ა) „ოფისის ხარჯებში“ ფაქტიურ და საკასო ხარჯებს შორის სხვაობამ 40,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც მათივე განმარტებით გამოწვეულია საწყობში არსებული ნაშთით.

ბ) „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლში ფაქტიურ და საკასო ხარჯებს შორის სხვაობამ 1,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გამოწვეულია საწყობში არსებული ნაშთით.

გ) „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის“ მუხლში ფაქტიურ და საკასო ხარჯებს შორის სხვაობამ 6,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გამოწვეულია საწყობში არსებული ბენზინის ტალონების ნაშთით.

დ) „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლით“ ფაქტიურ და საკასო ხარჯებს შორის სხვაობამ 282,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გამოწვეულია 2008 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების ჩატარებისათვის შპს „უტილიტთან“ საარჩევნო-სააგიტაციო საქონლის შეძენით, რომელიც ბალანსზე აყვანილ იქნა 2009 წლის მეორე კვარტალში.

„ძირითადი კაპიტალის მოხმარების მუხლით“ 2009 წელს არაფინანსურ აქტივებზე დარიცხულმა ცვეთამ 418,2 ათასი ლარი შეადგინა.

ცსკო-ს პერსონალსა და მის მომსახურეობაზე გაწეული დანახარჯები:

(ათას ლარებში)

ხარჯი	ერთეული	ხარჯი 2009 წლის განმავლობაში	საშუალო ხარჯი თვეში ერთ ერთეულზე
თანამდებობრივი სარგო	492	3717,2	0.6
პრემია	492	158.1	0.2
საკომუნიკაციო ხარჯი	13	49.7	0.3
ავტოტრანსპორტის საწვავის ხარჯი	15	103.0	0.5
ტექმომსახ ურება	14	22.5	0.13

ბ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა;

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მთავრობის ფონდიდან მიღებული აქვს შემდეგი დაფინანსება:

ა) საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 ოქტომბრის №744 განკარგულების საფუძველზე ცსკო-ს „ახალი შენობის აუცილებელი საპროექტო და სარემონტო სამუშაოების დასაფინანსებლად" გამოეყო 345.0 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად ირკვევა, რომ დანიშნულებით გაიხარჯა 302,2 ათასი ლარი. დარჩენილი 42,8 ათასი ლარი ცსკო-ს თავმჯდომარის თანხმობით გახარჯულია ძირითადად მიმდინარე ხარჯების დასაფარავად.

ბ) საქართველოს პრემიერ მინისტრის 2009 წლის 25 დეკემბრის №373 ბრძანების საფუძველზე „საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერთიფიცირების ღონისძიებათა დასაფინანსებლად" გამოეყო 50.0 ათასი ლარი, რაც ათვისებული იქნა სრულად.

გ) გრანტების (ფულადი და სასაქონლო) მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა;

ცსკო-ს 2009 წლის განმავლობაში უცხოეთიდან მიღებული საინვესტიციო პროექტები და გრანტის სახით ორგანიზაციულ კოდ 06 04 01– ზე „სხვა ხარჯების" მუხლში გამოეყო 1700.0 ათასი ლარი, პროექტის - ,,დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება სამართლიანი საარჩევნო პროცესებისა და აქტიური სამოქალაქო მონაწილეობისათვის" ფარგლებში. ზემოხსენებული გრანტიდან 2009 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის 2010 წლის 2 თებერვლის N 18–05–14/199/1102 წერილის თანახმად გაიხარჯა 1437.5 ათასი ლარი, ზემოთაღნიშნულ თანხაზე ცესკოს არც ვალდებულების დოკუმენტი და არც საგადახდო მოთხოვნა სახაზინო სამსახურში წარდგენილი არ აქვს. შესაბამისად თანხის გადარიცხვაზე ხარჯვის პირველად დოკუმენტებს ცსკო–ში არ მოიპოვება.

2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება:

2.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

ა) არაფინანსური აქტივების ცვლილება;

ცსკო-ს არაფინანსური აქტივების მუხლით დაზუსტებულმა გეგმამ 1.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გაიხარჯა მანქანა დანადგარებისა და ინვენტარის მუხლით(შეძენილი იქნა კონდიციონერი).

ბ) დებიტორ - კრედიტორების ცვლილება.

საანგარიშო პერიოდში დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების მდგომარეობა: (იხ. ცხრილი № 3)

ცხრილი № 3 (ათას ლარებში)

დავალიანების დასახელება	2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	დავალიანების ზრდა/შემცირება საანგარიშო პერიოდში
დებიტორული დავალიანება	16.2	16.2	-
კრედიტორული დავალიანება	2967.7	2966.3	1.4

კრედიტორული დავალიანება 2966,3 ათასი ლარის ძირითადად წარმოშობილია 2003 წელს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით(რაიონული საარევნო კომისიების წევრებზე გასაცემი ხელფასის თანხები), ხოლო დებიტორული დავალიანება 16,2 ათასი ლარი შეადგენს 1995 – 2000 წლებში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში წარმოქმნილ დავალიანებას.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის № 364 ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები წარდგენილია სრულად. ამასთან ერთად წლიური ბუღალტრული ანგარიშგება (ბალანსი) წარდგენილია აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში.

IV აუდიტის აქტის სამართლებლივი სტატუსი, პაუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაქვთ უფლებამოსილება აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროთ მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.

უფროსი აუდიტორი:	ხელმოწერა/თარიღი
თამაზ გურგენიძე	18.05.10
აუდიტორი:	
გიორგი მშვილდაძე	18.05.10

დანართი A - აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები.

თემატური, აკმერალური აუდიტის პერიოდში, ცსკო-ში, პასუხისმგებელი პირები იყვნენ:

ლევან თარხნიშვილი - ცსკო-ს თავმჯდომარე

დავით კირთაძე - ცსკო-ს თავმჯდომარის მოადგილე

ირაკლი ლატარია - ცსკო-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

ჯანსუღ კორძაია - მთავარი ბუღალტერი

დანართი B - გამოყენებული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესწავლისას გამოყენებულია შემდეგი ლიტერატურა:

- საქართველოს კანონი „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ";
- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ";
- ფინანსთა მინისტრის საქართველოს კანონი „გრანტის შესახებ";
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული ფორმების დამტკიცების შესახებ".
- ბალანსები და მისი დანართები; ხარჯთანუსხის შესრულების ანგარიში; ფინანსთა სამინისტროს წერილები.